ევროპის საინვესტიციო ბანკი და

# აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნები



European Investment Bank

The EU bank

# ევროპის საინვესტიციო ბანკი ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოში

ევროპის საინვესტიციო ბანკი ფოკუსირებას ახდენს სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაზე, კერძო სექტორის განვითარებასა და კლიმატთან დაკავშირებულ ქმედებებზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ პროექტებს, რომელსაც წვლილი შეაქვს რეგიონის მდგრადობასა და მოდერნიზაციაში. ჩვენს ინვესტიციებს სარგებელი მოაქვს აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების მოქალაქეთათვის და უზრუნველყოფს ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებთან მათი ურთიერთობების გამტკიცებას.

ჩვენი მხარდაჭერით ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ხორციელდება გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტები 2009 წლიდან.

## რას ვთავაზობთ

ჩვენ მოვუხმობთ ჩვენი ორგანიზაციის ინჟინრებისა და ეკონომისტების გამოცდილებასა და ექსპერტულ ცოდნას უმაღლესი ხარისხის პროექტების შემუშავებისა და შეფასებისთვის. წარმოვადგენთ რა პოლიტიკაზე ორიენტირებულ, უმაღლესი საკრედიტო რეიტინგის მქონე ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტს, ჩვენ ვთავაზობთ მიმზიდველ დაფინანსების პირობებს, როგორიცაა კონკურენტული საპროცენტო განაკვეთები და პროექტებზე მორგებული სესხის ვადები. ევროკავშირსა და სხვა დონორებთან პარტნიორობის დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია გრანტების შეთავაზება ჩვენი მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების ზემოქმედების შედეგის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ევროპის საინვესტიციო ბანკი აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში პროექტების უმეტესობას აფინანსებს ევროკავშირის საგარეო სესხების მანდატის ფარგლებში. აღნიშნული მანდატი უზრუნველყოფს ევროპის საინვესტიციო ბანკს ევროკავშირის გარანტიით კერძო და საჯარო სექტორის განვითარების პროექტებისათვის.

### ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ განხორციელებული ინვესტიცია ქვეყნების მიხედვით (2009 წლიდან)




### აღმოსავლეთ სამეზობლოსთვის გაცემული სესხები (2009-2018)



# ჩვენი ზემოქმედება

აღმოსავლეთ სამეზობლოს რეგიონში, ევროპის საინვესტიციო ბანკი ფოკუსირებას ახდენს ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაზე, მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ინოვაციების მხარდაჭერასა და ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგიის მიწოდებაზე. კლიმატთან დაკავშირებული ქმედება, პარიზის შეთანხმების შესაბამისად, წარმოადგენს ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხის გაცემის საქმიანობისთვის მთავარ პრიორიტეტს. ჩვენი დაფინანსების მეშვეობით, ჩვენ ვმოქმედებთ როგორც კატალიზატორი, რათა მოვიზიდოთ საჭირო ფინანსები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესასრულებლად 2030 წლისთვის.

**გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში რეგიონისთვის დახმარების გაწევა (ხელმოწერილი სესხები, 2015-2018):**

7 054 სკოლასო სამუშაო ადგილი სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების დაწესებულებების გარემონტებულ შენობებში

12 მილიონი ადამიანი სარგებლობს გაუმჯობესებული წყლითა და სანიტარული პირობებით

158 000 საოჯახო მეურნეობას აქვს წვდომა სუფთა ენერგიაზე

370 000 სამუშაო ადგილის მხარდაჭერა მცირე ზომის საწარმოებს, მიკროსაწარმოებსა და საშუალო კაპიტალის მქონე ფირმებში

21 მილიონი მგზავრობა წელიწადში გაუმჯობესებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით





# აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა

აღმოსავლეთ პარტნიორობას საფუძველი ჩაეყარა 2009 წლის მაისში, როგორც კოლექტიურ პოლიტიკურ ინიციატივას ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებსა და ექვს აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორს შორის: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა.

ევროკავშირი მუშაობს, რათა ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და მოქალაქეთა კეთილდღეობას მის აღმოსავლეთ ფლანგზე არსებულ ქვეყნებში. ევროპის საინვესტიციო ბანკი მხარს უჭერს 2015 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე შეთანხმებულ მიზნებს, რომელმაც განსაზღვრა ოთხი ძირითადი პრიორიტეტი ხელშესახები შედეგების მიღსაღწევად 2020 წლისათვის:

1. **უფრო ძლიერი ეკონომიკა:** ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები
2. **უფრო ძლიერი კავშირები:** ხალხისა და ადგილების დაკავშირება, ენერგო ეფექტიანობა, გარემოსა და კლიმატის ცვლილება
3. **უფრო ძლიერი მმართველობა:** ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა
4. **უფრო ძლიერი საზოგადოება:** მობილობა, პროფესიული უნარებისა და ხალხთა შორის კონტაქტების განვითარება

**2009 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის დაწყებიდან, ევროპის საინვესტიციო ბანკმა გამოყო 8.8 მილიარდი ევრო, რეგიონში 96 პროექტის მხარდასაჭერად.**



# უფრო ძლიერი ეკონომიკა

ევროპის საინვესტიციო ბანკი მუშაობს, რათა განავითაროს უფრო ძლიერი და მრავალდარგიანი ეკონომიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. ჩვენ განსაკუთრებით აქტიურად ვართ ჩართული მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) და მიკროსაწარმოების ფინანსური საჭიროებების მხარდასაჭერად, ინვესტიციების მოსაზიდად და სამუშაო ადგილებისა და სავაჭრო შესაძლებლობების შესაქმნელად. ჩვენ უზრუნველვყავით საკრედიტო ხაზები, მათ შორის ადგილობრივ ვალუტაში, და გარანტიები მცირე ბიზნესებისათვის 2.7. მილიარდი ევროს ოდენობით 2009 წლიდან.

მცირე ბიზნესებისა და საშუალო კაპიტალის მქონე საწარმოების მხარდაჭერას ჩვენი ბანკის მიერ ხელს უწყობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), მცირე და საშუალო საწარმოების პირდაპირი დაფინანსების პროგრამა და ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისთვის (InnovFin) ინიციატივა, რომელიც უზრუნველყოფს ორივეს, საკონსულტაციო მომსახურების გაწევასა და ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდებას.

ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა მრეწველობა რამდენიმე კორპორატიული პროექტის მეშვეობით, რომლის ღირებულება შეადგენს 590 მილიონს 2009 წლიდან. კომპანიების ზრდის ხელშეწყობასთან ერთად, ბანკი ასევე ეხმარება მათ უზრუნველყონ ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა ტენდერში მონაწილეობის, გარემოს დაცვისა და ტექნიკური მახასიათებლების მხრივ.

**პროექტის მთავარი მიღწევები:**

- ევროპის საინვესტიციო ბანკმა მცირე ბიზნესებისა და საშუალო კაპიტალის მქონე საწარმოების ადგილობრივ ვალუტაში დასაფინანსებლად პროკრედიტ ბანკისთვის უკრაინაში გასცა ადგილობრივი ვალუტაში სესხი **60 მილიონი ევროს** ოდენობით. მან ასევე ხელმისაწვდომი გახადა **2.6. მილიონი ევრო** მცირე ბიზნესის სასესხო გარანტიის სახით DCFTA-ს მეშვეობით თიბისი ბანკისათვის საქართველოში, რამაც განაპირობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სესხის შეღავათიანი პირობებით გაცემა და შეამცირა სასესხო უზრუნველყოფის მოთხოვნები.

- ევროპის საინცესტიციო ბანკმა გასცა **250 მილიონი დოლარის** ოდენობის სესხი მსხვილ კომპანიაზე უკრაინაში, რომელიც ასაქმებს **14 000-ზე მეტ ადამიანს**. აღნიშნულმა კომპანიამ, სანაცვლოდ, იმავე პროექტის ფარგლებში 40 მცირე ბიზნესს გაუფორმა ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურისა და მაღალტექნოლოგიური მცენარეული ზეთის მწარმოებელი საღერღი ქარხნის ასაშენებლად. პროექტი დაეხმარა ადგილობრივ ფერმერებს სტაბილური შემოსავლის მიღებაში და სარგებელი მოუტანა უფრო ფართო საზოგადოებას.



## ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი (TEN-T)

*ევროპის საინვესტიციო ბანკს განზრახული აქვს დააფინანსოს გაფართოებული ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი (TEN-T), რომელიც წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ქვეყნების ურთიერთდამაკავშირებელ და ამ რეგიონის ევროპასთან დამაკავშირებელ სატრანსპორტო ბადეს. ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი (TEN-T), რომელიც გააუმჯობესებს საზღვრის გადაკვეთას და განაახლებს არსებულ ინფრასტრუქტურას სუსტი რგოლების აღმოფხვრის გზით, მოიცავს ახალი და არსებული გზების, რკინიგზის, პორტების, აეროპორტების და ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობასა და რეაბილიტაციას. ამასთანავე, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ინვესტირებისა და კონსულტაციების გაწევის გზით უზრუნველყოფს საგზაო უსაფრთხოების შემდგომ მხარდამჭერას აღმოსავლეთ პარტნიორობის რამდენიმე ქვეყანაში.*

# უფრო ძლიერი კავშირები

## რეგიონის ევროკავშირთან დაკავშირება გაუმჯობესებული ტრანსპორტის მეშვეობით

ტრანსპორტი წარმოადგენს ზრდისა და კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტ ფაქტორს. როგორც ევროკავშირის ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონსა და ევროკავშირს შორის კავშირების გაუმჯობესების მიზნით, იქნება ეს რკინიგზა, სახმელეთო თუ საწყალოსნო გზები. 2009 წლიდან, ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა 3.1. მილიარდი ევროს ღირებულების 25 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტი.

### სატრანსპორტო სესხი ტრანსპორტის სახეობის მიხედვით (2009-2019)



## უფრო მწვანე, უსაფრთხო და უვნებელი ენერგია

ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს ინვესტიციებს ენერგოეფექტურობის, ენერგეტიკული მდგრადობის, ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების ზრდისა და სათბური აირების გაფრქვევის შემცირების მიზნით განახლებადი ენერგიის გამოყენების გაფართოების სფეროში. ჩვენი საინვესტიციო მიზანია არა მხოლოდ ენერგეტიკული კავშირების გაფართოება, რომელიც ხელს უწყობს ინტეგრირებული და მდგრადი ენერგეტიკული ბაზრის შექმნას ევროპის მასშტაბით, არამედ ენერგიის უფრო ეფექტური გამოყენება, რაც ამცირებს გამონაფრქვევს და ენერგოხარჯებს.

### პროექტის მთავარი მიღწევები:

- **80 მილიონი ევრო 158 კილომეტრი** სიგრძის ახალი გადამცემი ხაზებისთვის, რომლის გამოყენება მოხდება **600 მვ ურთიერთჩართვისთვის**, რომელიც დააკავშირებს მოლდოვას რესპუბლიკას რუმინეთთან და ევროკავშირის ელექტროენერგიის ბაზართან. პროექტი დახმარებას გაუწევს მოლდოვას ენერგორესურსების მრავალმხრივ განვითარებას და გააუმჯობესებს ენერგოუსაფრთხოებას.
- **7 მილიონი** ევრო **150-მდე საბავშვო ბაღის** რემონტისათვის ერევანის ენერგოეფექტურობის პროექტის ფარგლებში, რაც გაამყარებს შენობის მედეგობას სეისმური აქტივობის მიმართ და გააუმჯობესებს ენერგოეფექტურობას (სახურავის იზოლაცია, ახალი ენერგოეფექტური გამათბობლები, ლედ განათება და მზის ენერგოსისტემები). ერევნის საბავშვო ბაღების პროექტი შეამცირებს ნახშირბადის დიოქსიდის გამონაფრქვევს 5 502 ტონით წელიწადში და გააუმჯობესებს **34 500 ბავშვის, მასწავლებლის და პერსონალის წევრის** ცხოვრებას. აღნიშნული სამუშაოს შესრულება შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის ფარგლებში გაცემული **5 მილიონი ევროს** გრანტის მეშვეობით.

## ფოკუსირება ეფექტურობაზე:

*აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს რამდენიმე პროგრამას შენობებისა და მუნიციპალიტეტის გათბობის სისტემაში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დანერგვის მიზნით. სესხის გაცემასთან ერთად, ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფუძნა საკონსულტაციო ინსტრუმენტი (მუნიციპალური პროექტების მხარდაჭერის ფონდი (იგივე MSPF), რომელიც ფინანსდება სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (NIF) მიერ), რომელიც მხარს უჭერს მდგრადი ენერგიის ღონისძიებებს და კლიმატთან დაკავშირებულ ქმედებას ქალაქებში რეგიონის მასშტაბით.*

## გარემოს დაცვის გარანტიები და კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის მხარდაჭერა

2009 წლიდან, ევროპის საინვესტიციო ბანკმა დააფინანსა რამდენიმე წყალისა და სანიტარიის პროექტი რეგიონში 572 მილიონი ევროს ინვესტიციის საერთო ოდენობით. ბანკმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი წყალმომარაგების ხარისხის და წყალარინების სისტემის მომსახურებების გაუმჯობესებას, რამაც საშუალება მისცა ქვეყნებს დაეკმაყოფილებინათ ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის რეგულაციები და ამავდროულად გაეუმჯობესებინათ ადგილობრივი გარემო.

### პროექტის მთავარი მიღწევა:

- **104.6 მილიონი ევროს ოდენობით სესხი გამოყოფილია ევროპის საინვესტიციო ბანკის** მიერ წყალმომარაგების სისტემების გაფართოებაზე, რეკონსტრუქციასა და რეაბილიტაციაზე საქართველოში. სესხი მიზანმიმართულია ორ დიდ პროექტზე ქუთაისში და რამდენიმე მცირე პროექტზე ურეკს, ზუგდიდსა და ფოთში და ემსახურება უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდას. პროექტმა, რომელიც ასევე ფოკუსირდება დაფარვის სერვისსა და ხარისხზე, მიიღო საგრანტო სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის მხარდაჭერა ტექნიკური აუდიტისათვის.

# უფრო ძლიერი მმართველობა, ინსტიტუციები და მდგრადობა

ევროპის საინვესტიციო ბანკი მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ძალისხმევას გააუმჯობესონ კრიზისებსა და შოკურ სიტუაციებში წინააღმდეგობის გაწევის უნარი სტაბილური ზრდის შენარჩუნების პირობებში.ბანკი ახორციელებს ინვესტიციებს პროექტებში, რომლებიც ემსახურება საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ძირითადი ადმინისტრაციული საჭიროებების დაკმაყოფილებასა და რეზიდენტებისა და გადაადგილებული პირების ეკონომიკური ინიციატივების ხელშეწყობას. უკრაინაში, ბანკი აფინანსებს ოპერაციებს, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის აღდგენას უკანასკნელი პერიოდის კონფლიქტების შემდეგ, მხარს უჭერს ძირითადი სერვისებისა და მთავარი ინფრასტრუქტურის მოკლევადიან აღდგენასა და რეაბილიტაციას.

## პროექტის მთავარი მიღწევები:

- უკრაინის აღდგენის საგანგებო პროექტმა გამოყო **200 მილიონი ევრო ინვესტიციების დასაფინანსებლად** მთავრობის მიერ კონტროლირებად დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ქალაქებში: ხარკოვი, დნეპრი და ზაპოროჟიე. ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსება ეხმარება ქალაქებს რეგიონებში, სადაც თავმოყრილია იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობა, რათა ისინი უკეთ გაუმკლავდნენ სოციალურ ინფრასტრუქტურასა და თავშესაფარებში არსებულ სტრესს. სესხი გამოიყო წყლისა და სანიტარული სერვისების, ელექტროენერგიისა და გათბობის მიწოდების აღდგენისა და გაუმჯობესებისათვის. ის ასევე მოიცავს დაზიანებული საჯარო შენობების, მათ შორის ადმინისტრაციული შენობების, სკოლების, კლინიკებისა და საავადმყოფოების და სხვა სოციალური ინფრასტრუქტურის გარემონტებას..

- ბანკი დაეხმარა მოლდოვას რესპუბლიკას **2 მილიონი ევროთი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად** წყალდიდობის პრევენციისა და დაცვის გენერალური გეგმისა და გეორგაფიულ საინფორმაციო სისტემაზე დაფუძნებული მდინარის მენეჯმენტისა და მონიტორინგის სისტემის განვითარებისთვის. ტექნიკური მხარდაჭერა ასევე ხელს უწყობს წყალდიდობისგან თავდაცვის ისეთი საინვესტიციო პროექტების გამოვლენას, როგორიცაა წყალდიდობისგან დამცავი ჯებირების, წყალდიდობის საწინააღმდეგო წყალსაცავის მოწყობა და მდინარის პოტენციალის გაზრდა. პროგრამის მხარდამჭერები იყვნენ ევროპის საინვესტიციო ბანკის მმართველობაში მყოფი აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდის კონტრიბუტორები.



# უფრო ძლიერი საზოგადოება

ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს პროექტებს განათლების სფეროში. კარგი უმაღლესი და საჯარო განათლების ინფრასტრუქტურა აუმჯობესებს სწავლებისა და სწავლის გარემოს და სტიმულს აძლევს კვლევასა და ინოვაციას. განათლება წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელსაც თავის მხრივ მივყავართ შემოსავლების, პროდუქტიულობისა და დასაქმების ზრდისაკენ. ჩვენი პროექტები ხელს უწყობს არსებული სტანდარტების ევროკავშირის სტრანდარტებთან დაახლოება.

### პროექტის მთავარი მიღწევა:

- უკრაინის უმაღლესი განათლების პროექტმა დააფინანსა სწავლების, კვლევისა და კონსულტაციის განყოფილებების რეკონსტრუქცია 21 უნივერსიტეტში მათი ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების და სტუდენტებისათვის კომფორტის შექმნის მიზნით. **160 მილიონი ევროს ინვესტიციასთან** ერთად, პროექტმა ასევე მიიღო ევროკავშირის საგრანტო მხარდაჭერა სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმიდან და აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობიდან.

# პროექტების მთავარი მიღწევები



## სომხეთი

**ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტი: 404 მილიონი ევრო**

*M6 სახელმწიფოთაშორისი გზის რეაბილიტაცია (51 მილიონი ევრო) უკავშირდება გადამწყვეტი მნიშვნელობის სატრანსპორტო დერეფანს სომხეთში, რომელიც ასევე აკავშირებს ქვეყანას საქართველოსა და დანარჩენ გარე სამყაროსთან. აღნიშნული გზით სარგებლობს სომხეთის საერთაშორისო საგზაო მოძრაობის მონაწილეთა 60% და ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთის საერთაშორისო ვაჭრობისათვის. პარალელურად, ევროპის საინვესტიციო ბანკი იწყებს პროგრამას ევროკავშირის მხარდაჭერით ქვეყანაში საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.*

## აზერბაიჯანი

**ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტი: 96 მილიონი ევრო**

*ევროპის საინვესტიციო ბანკი გასცემს 25 მილიონი ევროს დაფინანსებას მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პროექტებისათვის. ფინანსები ნაწილდება AccessBank-ის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს მცირე ბიზნესის მთავარ დამფინანსებელს აზერბაიჯანში. აღნიშნული ოპერაცია ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას, წვლილს შეიტანს აზერბაიჯანში სამუშაო ადგილების შექმნასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში.*





## ბელარუსი

**ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტი: 159 მილიონი ევრო**

*ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი 84 მილიონი ევროს სესხი მოხმარდება წყალარინების ქსელის, რომელიც ემსახურება მინსკში 2 მილიონ მოქალაქეს, მომსახურების გაუმჯობესებას. სესხით დაფინანსდება წინასწარი დამუშავების ობიექტების, ბიოლოგიური დამუშავებისათვის განკუთვნილი, ჩამდინარე წყლების ულტრაიისფერი დეზინფექციისა და კანალიზაციის თანამედროვე გამწმენდი აერაციის ცისტერნების დამონტაჟება. ინვესტიციები ასევე გააუმჯობესებს ენერგოეფექტურობას, ადგილობრივ გარემოსა და ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას.*



## საქართველო

**ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტი: 1.8 მილიარდი ევრო**

*ურბანული რეკონსტრუქციისა და განაშენიანებისთვის გამოყოფილი ფინანსები 50 მილიონი ევროს ოდენობით მოხმარდება 2015 წელს მომხდარი გამანადგურებელი წყალდიდობისას თბილისისათვის და მისი მიმდებარე ტერიტორიისთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრას. პროექტი ხელს შეუწყობს ძირითადი სერვისების აღდგენას, საკვანძო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციას და ეკონომიკური გაჯანსაღების წინაპირობების შექმნას.*

## მოლდოვა

**ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტი: 755 მილიონი ევრო**

*24 მილიონი ევროს ოდენობით გაცემული სესხი ხელს შეუწყობს წყლის მიწოდების მომსახურებების და ჩამონადენი წყლის შეგროვებისა და დამუშავების ობიექტების რეაბილიტაციას კიშინიოვში, განამტკიცებს წყლისა და საკანალიზაციო მომსახურებების ხარისხს, ეფექტურობასა და მდგრადობას და გააუმჯობესებს 800 000 მოქალაქის ცხოვრების დონეს. აღნიშნული ინვესტიციით შემცირდება წყლის გაჟონვის შემთხვევები და ენერგომოხმარების ხარჯი.*





## უკრაინა

**ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტი: 5.5 მილიარდი ევრო**

*75 მილიონი ევროს ჩარჩო სესხის მეშვეობით, ბანკი აფინანსებს ურბანული საგზაო მოძრაობის ინფრასტრუქტურას მძღოლებისათვის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ, საგზაო მოძრაობის მონაწილე ყველაზე მოწყვლადი საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით., ფეხითა და ველოსიპედით მოსიარულეთათვის. საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებასა და უბედური შემთხვევების შემცირებასთან ერთად, ინვესტიციას აქვს პოტენციალი შეამციროს საგზაო უსაფრთხოების დაბალ ხარისხთან დაკავშირებული ირიბი ხარჯები. პროექტი სარგებლობს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების მხარდაჭერით.*

*ევროპის საინვესტიციო ბანკი წარმოადგენს ევროკავშირის ბანკს, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მფლობელობაშია. 2018 წელს, ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფმა გასცა დაახლოებით 80 მილიარდი ევრო ინვესტიციებისთვის ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ წარმოვადგენთ **მსოფლიოს უმსხვილეს მრავალმხრივ მსესხებელსა და სესხის გამცემს**.*


**ევროპის საინვესტიციო ბანკი**
98-100, კონრად ადენაუერის ბულვარი
L-2950 ლუქსემბურგი
+352 4379-1
**www.eib.org**

twitter.com/EIB
facebook.com/EuropeanInvestmentBank
youtube.com/EIBtheEUbank

**ლაიონელ რაფაელი**
საჯარო სექტორის განყოფილების ხელმძღვანელი
+352 4379-86872
l.rapaille@eib.org – OPS_NC-2@eib.org

**ნატალი კლიმენსი**
კერძო სექტორის ხელმძღვანელი - კორპორაციების განყოფილება
+352 4379-86709
n.climence@eib.org – OPS_NC-3@eib.org

**მარიონ ჰონიკი**
კერძო სექტორის ხელმძღვანელი - ბანკების განყოფილება
+352 4379-87406
m.hoenicke@eib.org – OPS_NC-4@eib.org

**ანტონიო კასტილო**
მოლდოვას რესპუბლიკაში ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
მოლდოვას რესპუბლიკა
ვლაიკუ პირკალაბის ქ. N 63
MD-2012 კიშინიოვი
+373 2280-7277
+373 2280-7220
chisinau@eib.org

**მასიეჟ ცურა**
ევროპის საინვესტიციო ბანკის სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
გ. ტაბიძის ქ. N1, თავისუფლების მოედანი
0105 თბილისი
საქართველო
+99 3220-6284
tbilisi@eib.org

**ჟან-ერიკ დე ზაგონი**
უკრაინაში ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
101, ვოლოდიმირსკას ქ.
UA-01033 კიევი
+380 4439-08018
+352 4379-67495
kiev@eib.org



08/2019 KA Images: © EIB, Shutterstock